პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 247 (19089) პარასკევი, 26 ოქტომბერი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

ყველაფერი ადამიანის საკეთილდღეოდ

Საბჭოთა ხალხი დაიწყებს მე-თერთმეტე ხუთწლედის მეხუთე, დამამთავრებელ წელს. დიდია ჩვენი ხალხის მიღწევები, უდიდესი და რთულია მის წინაშე დასახული ამოცანები. იმის საწინდარი, რომ ეს ამოცანები წარმატებით გადაწყდება, არის სკპ ბრძნული, მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკა, პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა, მათი მისწრაფება მტკიცედ იარონ ლენინური გზით. ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა სკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგმა პლენუმმა.

პლენუმმა განიხილა საკითხი „ქვეყნის სასურსათო ფონდის სტაბილური ზრდის მიზნით მელიორაციის გრძელვადიანი პროგრამის, მელიორირებული მიწების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების შესახებ“ და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ.

კ. უ. ჩერნენკოს ღრმა და მკაფიო სიტყვაში აღნიშნულია სასურსათო პროგრამის შესრულებაში, სოფლის სოციალურ გარდაქმნაში მიღწეული წარმატებები, აგრეთვე აქ არსებული ნაკლოვანებები, ჩამოყალიბებულია დებულებები და დასკვნები ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ძირითადი მიმართულებების, სასურსათო ფონდის სტაბილურ განვითარებაში მელიორაციის როლის გადიდების თაობაზე ...

... ცხოვრების სათანადო პირობების შექმნას, კულტურული ცხოვრების შემდგომ აყვავებას.

სოფლის მშრომელთა ცხოვრებაში ხდება ძირეული ცვლილებები უკეთესობისაკენ, იცვლება ჩვენი სოფლის სახე. შესამჩნევია მიღწევები პარტიის ერთ-ერთი საპროგრამო ამოცანის გადაწყვეტის — ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონეთა დაახლოების გზაზე.

საკმარისია ითქვას, რომ ხუთწლედის რთხ წელიწადში სოფლად საექსპლუატაციოდ გადაეცა 182 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, რაც საშუალებას მოგვცემს სათანადო პირობები გაუუმჯობესოთ 10 მილიონზე მეტ კაცს. გაფართოვდა სკოლების, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურის ობიექტების მშენებლობის მასშტაბი. იზრდება საყოფაცხოვრებო მომსახურება, იზრდება სოფლის მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონე.

და სულაც არ არის შემთხვევითი, რომ ბოლო წლებში მცირდება სოფლის მოსახლეობის ქალაქში მიგრაცია. სამ წელიწადში სოფლიდან ადამიანების წასვლა მთლიანად 8 პროცენტით შემცირდა, რუსეთის ფედერაციაში — 24, არაშავმიწანიადაგიან ზონაში — 80 პროცენტით. სოფლად ოჯახებში შობადობამ 1983 წელს მთლიანად ქვეყანაში 20 წლის მანძილზე ყველაზე მაღალ დონეს მიაღწია. ეს დიდი ხნის ნაბატრი პროცესები არ შეიძლება არ გვახარებდეს. პარტია ქვლავაც თანამიმდევრულად განახორციელებს სოფლის ...

[illegible]

„ПРАВДА“ 25 ოქტომბრის მოწინავე

გრძელვადიანი პროგრამა

[illegible]

ა. ძნელაძე,
აჭარის ასსრ [სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი.
(საქინფორმი).

საოქტომბრო ვახტზეა რესპუბლიკა

ათი თვის გეგმა შესრულდა

როგორც საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 67 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის და ვადამდე შეასრულეს რეალიზაციის მოცულობისა და უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების 1984 წლის იანვარ-ოქტომბრის გეგმა.

საწარმოო გაერთიანებების, ქარხნების, ფაბრიკების კოლექტივები, რომლებიც ერთსულოვნად უჭერენ მხარს და იწონებენ სკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ეძებენ ახალ რეზერვებს და აყენებენ მათ წარმოების სამსახურში, უფრო დონეს ხმარობენ მიმდინარე წლის და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

* * *

როგორც ქალაქ თბილისის სტატისტიკური სამმართველო იუწყება, რესპუბლიკის დედაქალაქის მრეწველობის მუშაკებმა სამშობლოს უპატაკეს რეალიზაციის მოცულობისა და უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების 1984 წლის იანვარ-ოქტომბრის გეგმის შესრულება. მიმდინარე წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის შეჯიბრება გრძელდება. (საქინფორმი).

სადღესასწაულო პატაკები

ᲐᲘᲚᲘᲡ რა წლის დამდეგიდან მუშაობის სწრაფი ტემპი, რესპუბლიკის მშენებლები გრაფიკის გასწრებით მუშაობენ. ცხრა თვის განმავლობაში გეგმის გადამეტებით გადაეცა საექსპლოატაციოდ 25 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, 115 პროცენტით შესრულდა სკოლების მშენებლობის გეგმა, 108 პროცენტით — სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებისა.

... ვერებმა. ადგილობრივი სახლთსაშენებელი კომბინატის მშრომელებმა განვლილ პერიოდში საექსპლოატაციოდ გადასცეს 40 ათასამდე კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი და პირობა დადეს, რომ წლის დამლევამდე კიდევ გადასცემენ დაახლოებით 50 ათას კვადრატულ მეტრ ფართობს. ამ ფართობის მნიშვნელოვან ნაწილს მობინადრეები ნოემბერში მიიღებენ.

... და ქალაქში გათვალისწინებულია კიდევ რამდენიმე ათეული ბინა გადაეცეს საექსპლოატაციოდ.

ᲥᲕᲐᲘᲡᲘ. შვიდკილომეტრიანი გზის საექსპლოატაციოდ ჩაბარებით დაიწყო ახალი სადღოს ათვისება. ამით განხორციელდა კვაისის ტყვია-თუთიის მაღაროთსამმართველოს კოლექტივის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტი ...

... სეპ სამმართველოს მშრომელებმა ქვემოჭარეებთან ერთად ვალდებულება იკისრეს ვადაზე ერთი თვით ადრე დაამთავრონ ახალი ცხრასართულიანი სახლის მშენებლობის ყველა სამუშაო.

სულ კი ნოემბერში ახალი ბინის გასაღებს მიიღებს თბილისელთა რამდენიმე ასეული ოჯახი.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. წლის დამდეგიდან ახალმოსახლეობა იზეიმა რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრის თითქმის 1,5 ათასმა მცხოვ-...

ყოველი დღე — დამკვრელური

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ. (საკ. კორ.). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 67-ე წლისთავს — ყოველი დღე დამკვრელური. ამ დევიზით შრომობენ ცხინვალის ელექტრომოწყობილობის მექანიზმების ქარხანაში და სასურველ შედეგებს აღწევენ. ცხრა თვის საწარმოო დავალებები მათ პირნათლად შეასრულეს. სასაქონლო პროდუქცია გათვალისწინებულზე თითქმის ათი ათასი მანეთით მეტია გამოშვებული, მოგებამ 30 ათას მანეთს გადააჭარბა. ეს მათ საშუალებას მისცემს გააუმჯობესონ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები, მატერიალურად წაახალისონ ისინი.

ნაყოფიერად იმუშავეს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის. გამოშვებული პროდუქციის წარმოებაზე 3 ათასი მანეთით ნაკლები დაიხარჯა, ...

[illegible]

ვინ მოიპოვებს „კომუნისტის“ გარდამავალ დროშას?

რეკორდული მოსავალი

ᲬᲚᲔᲣᲚᲡ წითელწყაროელმა მევენახეებმა ყურძნის არნახული მოსავალი მოიწიეს. — სახელმწიფო მარანში დაგეგმილი 65.600-ის ნაცვლად 78.000 ტონა ყურძენი მიიტანეს. ბარაქიანი რთველი ჰქონდათ ზემოქედელებს, არხილოსკალოელებს, ქვემოქედელებს — ჰექტარზე საშუალოდ 120-130 ცენტნერი.

ბრიგადებს შორის რეკორდული მოსავალი მოიწია არხილოსკალოს კოლმეურნეობის იმ ბრიგადამ, რომელსაც გამოცდილი მეურნე და მევენახე ხუთისო კეკოშვილი ხელმძღვანელობს. მის ბრიგადას მოსავლელად გაპიროვნებული აქვს 80 ჰექტარი მსხმოიარე ვენახი, საიდანაც ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 208 ცენტნერი ყურძენი, სულ კი 1.673 ტონა.

ბეჯით გარჯაში ბრიგადას ხელი შეუწყო შრომის ანაზღაურების პროგრესულმა მეთოდმა, რომელსაც ამ ბოლო წლებში სოფელ არხილოსკალოს კოლმეურნეობაში იყენებენ. ყოველი ჰექტარი ვენახი კოლმეურნეობაში, ბრიგადაში გაპიროვნებულია. ზოგიერთ ოჯახს 5-10 ჰექტარი ვენახი აქვს მოსავლელად მიჩენილი. არის ისეთი ოჯახები, რომლებიც შრომის ანაზღაურების და პრემიის სახით წელიწადში 10-15 ათას მანეთს იღებს.

(„კომუნისტის“ საკ. კორ.).

შეჯიბრების მოწინავენი

ᲙᲐᲠᲒᲐᲓ მოუარეს ვენახებს დაბა მაიაკოვსკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის № 1 ბრიგადაში, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ვ. გარუჩავა თავკაცობს. ბრიგადაზე გაპიროვნებულია 41 ჰექტარი ვაზის მსხმოიარე ფართობი, სადაც გეგმით უნდა მიიღონ 143 ტონა ყურძენი. დღეისათვის მოკრეფილია და სახელმწიფო მარანში მიიტანეს 175 ტონა.

უკეთესი მაჩვენებლები აქვთ ბრიგადის ცალკეულ წევრებს. მაგალითად, რ. ახალაძემ, 0,45 ჰექტარი ფართობიდან მოიწია 9 ტონა ყურძენი, ე. ი. საშუალოდ ჰექტარიდან 191 ცენტნერი, ხოლო ვ. ებანოიძემ — 0,5 ჰექტარიდან 8 ტონა.

[illegible]

(„კომუნისტის“ საკ. კორ.).

სამუშაო ვიზიტად

ᲡᲙᲞ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 25 ოქტომბერს მოსკოვში სამუშაო ვიზიტად ჩამოვიდა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჟ. ბატმუნხი.

აეროდრომზე მას დახვდნენ სკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი, სკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ვ. რომანოვი, სხვა ოფიციალური პირნი. (საქდესი).

წლისთავის გამო

ᲡᲙᲞ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ იემენის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, პრემიერ-მინისტრს ალი ნასერ მუჰამედს გაუგზავნეს დეპეშა სსრ კავშირისა და იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადების ხუთი წლისთავის გამო.

ამ თარიღთან დაკავშირებით იემენის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, პრემიერ-მინისტრმა ალი ნასერ მუჰამედმა საპასუხო დეპეშა გამოუგზავნა სკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. უ. ჩერნენკოს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

24 ოქტომბერს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.

სხდომის მონაწილენი დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. სხდომაზე აღინიშნა, რომ პლენუმის გადაწყვეტილებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოს სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის, ძირითადი მიმართულებების, სასურსათო ფონდის სტაბილურ ზრდაში მელიორაციის როლის გაძლიერების შესახებ მნიშვნელოვანი წვლილია თანამედროვე ეტაპზე პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის განვითარებასა და დაკონკრეტებაში.

...ლიზებული დიდი სამამულო ომის მონაწილეებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ სკკპ XXVI ყრილობის მითითებების, პარტიისა და სახელმწიფოს გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მიერ გაწეული მუშაობა. აღინიშნა, რომ გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთაგან ბელორუსიის განთავისუფლების 40 წლისთავის დღესასწაულობასთან და დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით გააქტიურდა რესპუბლიკის საბჭოთა ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა, რომლის მიზანია ომისა და შრომის ვეტერანებისადმი ყურადღების გადიდება. ხორციელდება დიდი სამამულო ომის მონაწილეების, დაღუპული მეომრების და პარტიზანების ოჯახების...

[illegible]

...ოფიციალური დოკუმენტის საშუალებით აბსოლუტურ გარანტიას, ამასთან ერთად პრეზიდიუმის წევრებმა დაგეგმილი ღონისძიებების უფრო ეფექტიანი განხორციელებისათვის საჭირო ზომები მიიღეს და სოციალისტური კანონიერებისადმი სახელმწიფო და სოციალისტური ვალდებულებების უფრო სრული შესრულება, ამისათვის გამოიყენონ კანონის ფართო შესაძლებლობანი, რომლებსაც იგი შრომითი კოლექტივებს ანიჭებს.

შემდეგ განიხილეს ბელორუსიის სს რესპუბლიკაში დიდი სამამულო ომის მონაწილეთა სოციალური უზრუნველყოფისა და მათთვის დაწესებული შეღავათების მიცემის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვის საკითხი. მოხსენებასა და თანამოხსენებაში დაწვრილებით იყო გაანა...

...მუშაობა მოაზმაროს ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1984 წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმების განხორციელებას, ილაჭონ, რათა ამზრდელობითი მუშაობა მჭიდროდ უკავშირდებოდეს ცხოვრებას, უფრო ქმედითი ხასიათისა იყოს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები, სახელმწიფო ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხი. (საქინფორმი).

პარტიული ცხოვრება: ისმენენ კომუნისტის ანგარიშს, ამტკიცებენ დახასიათებას

მთავარი შემფასებელი — საქმე

პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის აპარატის მუშაკებმა არჩიეს, რომ თავიანთი პარტიული ორგანიზაციის კრებაზე პირველ რიგში საორგანიზაციო განყოფილების გამგის, კომუნისტ დ. ლორიას ანგარიში მოესმინათ, ვინაიდან უბანი, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, პარტიული აპარატის ერთ-ერთი ძირითადი რგოლია.

კომუნისტის ანგარიშმა და მისი პარტიული დახასიათების დამტკიცებამ დაგვანახვა, რომ დ. ლორია ჭრომისმოყვარე, კეთილსინდისიერი პარტიული მუშაკია, საქმის პერსპექტივაში დანახვის უნარიც აქვს.

ყოველივე ამის შესახებ და აგრეთვე მის პირად ნაკლოვანებებზე პარტიულ კრებაზე ამომწურავად და გულდიდად ილაპარაკეს.

როგორც თვითონ დ. ლორიამ აღნიშნა, პირველი ნაბიჯები პარტიის საქალაქო კომიტეტის საორ...

განიზაციო განყოფილებაში ნამდვილად საქმიანი ატმოსფერო სუფევს. აქ შემოქმედებითად ილწვიან იმისათვის, რომ თითოეული მუშაკი იყოს თავისი საქმის მცოდნე, პარტიის იდეების ერთგული, უმწიკვლო, დისციპლინირებული და შემსრულებელი, იჩენდეს ინიციატივას. ამიტომ იგი, როგორც განყოფილების გამგე, ცდილობს რაც შეიძლება მეტი დამოუკიდებლობა მჭონდეთ პარტიული აპარატის მუშაკებს, ზრუნავს მათი პროფესიული ზრდისთვისაც. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ განვლილი სამი წლის განმავლობაში სხვა პარტიულ, კომკავშირულ და სამეურნეო საქმეზე გა...

...ბა. ამ ღონისძიებებმა თავისი სასიკეთო კვალი დაამჩნია პარტიის ძირეული რგოლების მუშაობას.

კრებაზე ისიც აღინიშნა, რომ განყოფილების ინსტრუქტორები უფრო ხშირად მიდიან ადგილებზე, ეხმარებიან ამხანაგებს პარტჯგუფებში, საამქრო და პირველადი ორგანიზაციებში მუშაობის უკეთ მოწყობაში, ეწევიან ინსტრუქტაჟს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის კომისიების მუშაობის მიმართულებათა განსაზღვრაში, პარტიული ორგანიზაციის სამუშაო გეგმების შედგენაში იმ ძირითადი პრობლემების გათვალისწინებით, რომლებიც ამა თუ იმ შრომითი კოლექტივისა და მისი...

ამ მიმართულებით საინტერესოა ის მუშაობა, რომელსაც აქ ეწევიან პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების კომპეტენტურობის ამაღლებისათვის: სწავლების არსებულ სისტემაში დაინერგა ახალი ფორმები — კადრების სტაჟირება, ინდივიდუალური სწავლება და სხვ. შეიქმნა 12 საბაზო ორგანიზაცია, სადაც პარტორგანიზაციათა მდივნები თეორიულ სწავლებასთან ერთად პრაქტიკულად ეცნობიან შინაპარტიული მუშაობისა და ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გამოცდილებას. უფრო დიფერენცირებულად და ინდივიდუალურად მუშაობენ მცირერიცხოვან პარტიული ორ...

...ტმა დ. ლორიამ ვერ შეძლო დაერწმუნებინა განყოფილებასთან ერთობლივი მუშაობის ფორმების გამოყენება პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებისათვის. თუ გავითვალისწინებთ, რომ თითოეული ინსტრუქტორის არეალში 40-მდე პარტიული ორგანიზაციაა, აღნიშნულის განხორციელება აუცილებელია. პარტიულ მუშაობაში შეიმჩნევა ფორმალიზმი...

...მოსაზრებას კრება პარტიული დავალების შესრულება თავისთავად მეტად მნიშვნელოვანი...

[illegible]

განყოფილებაში ნაკლებ ყურადღებას უთმობენ პარტიის საქალაქო კომიტეტთან შექმნილი შტაბების, სამუშაო ჯგუფების, კომისიებისა და სხვადასხვა საბჭოს საქმიანობის კოორდინირებას, ამიტომაც ზოგიერთი მათგანის მოქმედების შედეგი არც კი იგრძნობა.

მეტ ყურადღებას საჭიროებს პარტიული ორგანიზაციების ზრდისა და პარტიის რიგებში მიღების საკითხები, ვინაიდან ამ მიმართულებით ქალაქის პარტორგანიზაციაში ბევრი ნაკლია.

კომუნისტ ლორიას საქმიანობა და პიროვნული თვისებები კიდევ უფრო ნათლად წარმოა...

ნყოფილების ექვსი ინსტრუქტორი დააწინაურეს, რომლებიც კარგად მუშაობენ და ზრდის პერსპექტივებიც აქვთ.

პარტიულ კრებაზე ისიც ითქვა, რომ სიმართლეს პირდაპირ უნდა შევხედოთ და ნაკლი ვაღიაროთ, სამწუხაროდ, ...

პარტიული ორგანიზაციის წინაშე დგას.

განყოფილების ხელმძღვანელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს უკვე აპრობირებული, მუშაობის პრაქტიკულად ნაცადი ფორმების გავრცელებას. მაგალითად, რომელიც პარტიის საქალაქო კომიტ...

განიზაციების მდივნებთან, რომელთა საერთო რაოდენობა ქალაქის პარტიულ ორგანიზაციაში 75 პროცენტს აღწევს. სწავლების საერთო ფორმების გარდა ყოველთვიურად ეწყობა მათი შეხვედრები შესაბამის დარგობრივ განყოფილებებში.

...პუტატი, სისტემატურად ამაღლებს იდეურ-პოლიტიკურ ცოდნის დონეს. სწავლობს მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტში, აქვს კარგი ზოგიერთი თვისებები. ცხოვრებაში გამოირჩევა თავმდაბლობით, მეუღლესთან, ...

[illegible]

...ძირითადი ნაკლი შეიძლება ითქვას მიიჩნიეს, რომ მას ჯერ კიდევ ახასიათებს მუშაობის კაბინეტური სტილი. ხშირად ცდილობს მარტომ გადაწყვიტოს საკითხები, რის შედეგადაც ყველა დაწყებული საქმე საბოლოო განხორციელებამდე ვერ მიდის.

უნარიანი ხელმძღვანელობის საიმედო ნიშანი კი ის არის, რომ ყველა არსებული საშუალება სრულად გამოიყენო. ასეთი ჩვევების შეძენა დაეხმარება მას, დაძლიოს ის ნაკლი, რომელიც ზედმეტი თვითდაჯერებით ვლინდება.

პარტიულმა კრებამ საერთო დადებითად შეაფასა კომუნისტ დ. ლორიას მუშაობა და დაავალა მას მეტი გულმოდგინებით იზრუნოს ქალაქის პარტიული ორგანიზაციისათვის ისეთი აქტუალური პრობლემების გადასა...

...ალური პრობლემები და ამ საფუძველზე სრულყოს ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის ფორმები და მეთოდები.

...თვისებები, საქმიანი ურთიერთობა აქვს ქალაქის პარტიულ-სამეურნეო აქტივთან. იგი მოღვაწეობის სხვა უბნებზეც გამოირჩევა. როგორც პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრი და საქალაქო საბჭოს დე...

ჯ. ქურხული,
„კომუნისტის" საკ. კორ.

25 ოქტომბერი

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

საქინფორმი იუწყება

ხალხის კეთილდღეობისათვის

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის შედეგები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მიერ პლენუმზე წარმოთქმული სიტყვა მსოფლიოს საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია.

საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ფართოდ განმარტავენ ამ სიტყვას და პლენუმის დადგენილებას და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირი, აკონკრეტებს რა ეკონომიკურ სტრატეგიას მომდინარე საუკუნის დამლევამდე, სახავს და ახორციელებს გრანდიო...

ხალხო მეურნეობა კვლავ აჩქარებს ტემპს, იზრდება საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონე. პლენუმზე ილაპარაკეს ახალ დიდ დამატებით ღონისძიებებზე, რომელთა მიზანია სასურსათო პრობლემის გადაჭრა სასოფლო-სამეურნეო წარმოების თანმიმდევრული ინტენსიფიკაციის, მიწების...

...ბით სამხრეთის სარწყავი მიწების გამოყენების ღიდმნიშვნელოვანი გეგმა, წერს „ვაშინგტონ პოსტი". ამ პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია კ. უ. ჩერნენკოს სიტყვაში. პლენუმის მიერ მოწონებულმა პროგრამამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის სასურსათო ფონდის ზრდა.

[illegible]

...წერს ჩეხოსლოვაკიის გაზეთი „რუდე პრავო". კ. უ. ჩერნენკომ ღრმად გააანალიზა საქმის ვითარება სოფლის მეურნეობაში — სოციალისტური ეკონომიკის ერთ-ერთ წამყვან სექტორში, ყოველმხრივ დაასაბუთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის მორიგი ამოცანები პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელების დარგში, რომელთა მიზანია საბჭოთა ეკონომიკის შემდგომი აღმავლობა.

საბჭოთა კავშირმა მიაღწია შთამბეჭდავ წარმატებებს, მისი სა...

...ბესება, ყველა დარგში ეკონომიის რეჟიმის გაძლიერება, მართვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა.

საბჭოთა ხელმძღვანელმა წამოაყენა და დაასაბუთა საბჭოთა კავშირში მიწების მელიორაციის განვითარების მასშტაბური პროგრამა, რომელმაც მინიმუმამდე უნდა შეამციროს ამინდის ჭირვეულობაზე საბჭოთა სოფლის მეურნეობის დამოკიდებულება, აღნიშნავს „ნიუ-იორკ ტაიმსი". ამ პროგრამის რეალიზაცია მნიშვნელოვნად გაზრდის მიწების ნაყოფიერებას. ეს სსრ კავშირში შემუშავებული სასურსათო პროგრამის გაგრძელებაა.

საბჭოთა ხელმძღვანელობამ შეიმუშავა მთელი სასოფლო-სამეურნეო მიწების, განსაკუთრე...

...უფრო იზრდება რძის, ხორცის, ბოსტნეულისა და ხილის წარმოება.

იაპონიის გაზეთი „ნიხონ კეიძაი" აქვეყნებს კ. უ. ჩერნენკოს სიტყვის შინაარსს და აღნიშნავს, რომ სსრ კავშირში სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთლიანი წარმოება 1983-1984 წლებში აღემატება ხუთწლედის პირველი ორი წლის წარმოებას. ეს 1982 წელს მიღებული საბჭოთა სასურსათო პროგრამის შესრულებისათვის გაწეული მუშაობის შედეგია. ახლა დასახულია მიწების მელიორაციის ფართო მასშტაბით გაშლის ღონისძიებანი, რაც საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონის შემდგომი ამაღლების შესაძლებლობას შექმნის.

● აშშ

კოალიცია რეიგანიზმის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებულ შტატებში მუშაობა დაიწყო „რეიგანიზმის წინააღმდეგ პროგრესულმა კოალიციამ", რომელიც აერთიანებს სხვადასხვა საზოგადოებრივ, ახალგაზრდულ და ქალთა ორგანიზაციებს, ხელოვნების მოღვაწეთა კომიტეტების წარმომადგენლებს, სხვადასხვა ეროვნული უმცირესობის ინტერესების გამომხატველ ჯგუფებს.

არ დავუშვათ რ. რეიგანის ხელახლა არჩევა ნოემბრის არჩევნებში — ასეთია ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზაციის მთავარი ამოცანა, — განაცხადა საქინფორმის კორესპონდენტთან ინტერვიუში „რეიგანიზმის წინააღმდეგ პროგრესული კოალიციის" ხელმძღვანელობის წევრმა ტედ გლიკმა. ახლანდელი ადმინისტრაცია საერთაშორისო ასპარეზზე მეტად სახიფათო, მილიტარისტულ პოლიტიკას და ქვეყნის შიგნით ანტიხალხურ კურსს ადგას. ეს პოლიტიკა...

[illegible]

● ნიკარაგუა

მტკიცე პროტესტი

მანაგუა. ნიკარაგუის ეროვნული აღორძინების მთავრობამ მტკიცე პროტესტი განუცხადა [ს]ახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ახორციელებს რეიგანის ადმინისტრაცია. რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების საელ...

...ფო მოსამსახურეებს მონაწილეობა მიიღონ შეთქმულებებსა და მკვლელობებში, აგრეთვე უბიძგონ ამისათვის სხვა პირებს". ამავე დროს თვით რეიგანმა საარჩევნო ტელეკამათის დროს აღნიშნა, რომ ყბადაღებული „სახელმძღვანელო" უკვე გაეგზავნა ცენტრალური სადაზვერვო სამმა...

...ბის პროვოკაციულად გამოწვევას. ეს დოკუმენტი არა მარტო ამორალურია, არამედ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ელემენტარული ნორმების უხეშ დარღვევას.

ერთ-ერთ თავის პირად განკარგულებაში, ნათქვამია საპროტესტო ნოტაში, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა თითქოს „აუკრძალა სახელმწი...

...ენს ნიკარაგუის მემარჯვენე ოპოზიციის წარმომადგენლებზე იმ მიზნით, რომ უბიძგოს მათ ბოიკოტი გამოუცხადონ საარჩევნო პროცესს. ნიკარაგუის მთავრობამ მოითხოვა შეწყდეს ვაშინგტონის ინტერვენციონისტული აქციები, პატივი სცენ რესპუბლიკის სუვერენიტეტსა და ეროვნულ დამოუკიდებლობას.

თანამშრომლობის ახალი ეტაპი

ადენი. აქ გაიმართა იემენის დემოკრატიული საზოგადოებრიობის კრება. იგი მიეძღვნა სსრ კავშირის და იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადების მეხუთე წლისთავს.

ეს მოვლენა აღნიშნავს საბჭო...

...განუწყვეტლივ მზარდი ურთიერთობა, აღნიშნა მან, დემოკრატიული იემენის პროგრესული მონაპოვრების დაცვის საქმეში დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი, ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუციის ამოცანათა გადაწყვეტასა და პროგრესის გზით რესპუბლიკის შემდგომ წინსვლაში წარმატების...

[illegible]

ბრიტანელ მაღაროელთა პრესკონფერენცია

სოლიდარობის კამპანია ჩვენი უფლებებისათვის ბრძოლაში საბოლოო გამარჯვების მტკიცე რწმენას გვინერგავს, — ამბობს ინგლისელი მეშახტე დერეკ რივზი

მეშახტეთა საერთაშორისო სოლიდარობამ გადამწყვეტი როლი...

ოცა ერთ-ერთმა ასეთმა მიტინგმა დონბასში, სადაც მეშახტეებმა...

რიც არის გაფიცვები, და კანონგარეშე გამოაცხადონ გაფიცულები...

[illegible]

გავრცელდა ოფიციალურ დოკუმენტად

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გენერალური ასამბლეის ოფიციალურ დოკუმენტად გავრცელდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოს მიერ 1984 წლის 17 ოქტომბერს გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის" კითხვებზე გაცემული პასუხის ტექსტი.

„ნუ დაივიწყებთ წარსულის გაკვეთილებს!", „ჩვენ ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგნი ვართ!", „აიკრძალოს გამალებული შეიარაღება!" — ასეთი ლოზუნგებით იმართება ქვეყნის ბევრ ქალაქში მასობრივი დემონსტრაციები და მიტინგები. გერმანიის მუშათა მოძრაობის ვეტერანები, კომუნისტები, ანტიფაშისტები, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობის დემოკრატიულად განწყობილი სხვა ფენები პატივს მიაგებენ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იმ მებრძოლთა ხსოვნას, რომლებიც ფაშისტმა ჯალათებმა დახოცეს მეორე მსოფლიო ომში. ამავე დროს ისინი გადაჭრით მოითხოვენ დასავლეთ გერმანიაში ამერიკული რაკეტულ-ბირთვული იარაღის განლაგების შეწყვეტას და უკვე განლაგებული რაკეტების გატანას.

სურათზე: ჰამბურგში გამართული მანიფესტაციის მონაწილეებს მეორე მსოფლიო ომის მსხვერპლთა გასახსენებლად მოაქვთ სიმბოლური ჯვრები.

საქინფორმის ფოტო.

„ნუ დაივიწყებთ წარსულის გაკვეთილებს!"

— მოითხოვენ დასავლეთგერმანელი მშრომელები

სიტყვით და საქმით

შინაპარტიული დისციპლინის განმტკიცების, მინდობილი საქმისათვის იდეოლოგიურ მუშაკთა პასუხისმგებლობის გაძლიერების საკითხებმა განსაზღვრა საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების იდეოლოგიის დარგის მდივანთა და პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებების გამგეთა რესპუბლიკური სკოლის მორიგი მეცადინეობის თემა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ინფორმაციამ, პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის ცნობამ, სკოლის მსმენელთა გამოსვლებმა ცხადყო, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის მოთხოვნების მიხედვით იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გარდაქმნა მთლიანად რესპუბლიკაში აქტიურად და მიზანდასახულად მიმდინარეობს. მაგრამ, აღინიშნა რა დადებითი ძვრები, ორატორებმა ამ მუშაობაში გამოავლინეს ნაკლოვანებანიც — ფორმალურობა და მოჩვენებითობა. ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იდეოლოგიური და პროპაგანდისტული მუშაობის ქმედითობის განუხრელ გაზრდას, მისი კონკრეტულობის, პრაქტიკასთან, ცხოვრებასთან, შრომითი კოლექტივების წინაშე დასახულ საარსებო ამოცანებთან კავშირის უზრუნველყოფას.

განსაზღვრეს რა ამ მიზნის მიღწევის გზები და საშუალებები, სკოლის მსმენელებმა მთავარი ყურადღება დაუთმეს იმას, რომ საჭიროა კიდევ უფრო გაძლიერდეს იდეოლოგიურ მუშაკთა პასუხისმგებლობა. ითქვა, რომ მათი მებრძოლეობის მთავარი კრიტერიუმები უნდა იყოს მაღალი ორგანიზებულობა მუშაობაში, შინაპარტიული დისციპლინის უმკაცრესი დაცვა, სიტყვისა და საქმის ერთიანობა, შეურიგებლობა უყაირათობასთან და მფლანგველობასთან, კერძომესაკუთრულ ტენდენციებთან და სხვა ნეგატიურ მოვლენებთან, საბჭოთა ცხოვრების წესის დამკვიდრება. ამასთან უფრო ეფექტიანად უნდა ვიყენებდეთ განათლებისა და აღზრდის საშუალებათა მთელ მდიდარ არსენალს, სულ უფრო აქტიურად, შემოქმედებითად უზრუნველვყოფდეთ იდეოლოგიური მუშაობის ქმედითობას.

სკოლის მეცადინეობის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ.

მეცადინეობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ნ. შ. ენდელაძე და პ. პ. ჩხეიძე. (საქინფორმი)

შემოქმედებითი ცვლა

საქართველოს მწერალთა კავშირში გამართული „მრგვალი მაგიდის" მონაწილეთა ყურადღების ცენტრში იყო ლიტერატურული ცვლის აღზრდის საკითხები. მონაწილეობდნენ მოსკოვის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მწერლები.

შეხვედრა გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ შ. ნიშნიანიძემ. ახალგაზრდა თაობისათვის პარტიის ზრუნვის ახალი გამოვლინება გახდა, — თქვა მან, — სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მისი როლის ამაღლების შესახებ". ამ დოკუმენტში განსაკუთრებული როლი მიეკუთვნა შემოქმედებითს ცვლას, რომელიც მოწოდებულია თანატოლებს დაეხმაროს კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

„ლიტერატურნაია გაზეტას" სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურების განყოფილების გამგემ ლ. ლავროვამ თავისი გამოსვლა მიუძღვნა გაზეთის ახლახან შემოღებული რუბრიკის — „სახელის უფლება" — მიზნებსა და ამოცანებს, ამ რუბრიკით გამოქვეყნებული მასალები უნდა დაეხმაროს დამწყებ პოეტებს, პროზაიკოსებს, კრიტიკოსებს იდეურ-ზნეობრივ, პროფესიულ ჩამოყალიბებაში. (საქინფორმი).

თანამშრომლობა მტკიცდება

ჩრდილოეთ კავკასიის სამეცნიერო ცენტრსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებს აქტიურ თანამშრომლობას სამეცნიერო, საზოგადოებრივი და სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის ყველა დარგში. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ცენტრის თავმჯდომარემ, როსტოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ი. ჟდანოვმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ოკუჯავამ.

დასახულია გაფართოვდეს ორი კოლექტივის კონტაქტები სამეცნიერო კვლევის კოორდინაციის, საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ, ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა უახლესი დარგების ფუნდამენტური კომპლექსური პრობლემებისა და გამოყენებითი სამეცნიერო-ტექნიკური ამოცანების გადაწყვეტის საქმეში, სამეცნიერო ექსპერიმენტების მოწყობა და ა. შ.

— ქვეყნის სამეცნიერო ცენტრების შემოქმედებითი ურთიერთობის განმტკიცება ხელს შეუწყობს საბჭოთა მეცნიერების განვითარებას, პრაქტიკაში მისი შედეგების დანერგვას, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს აკადემიკოსმა ვ. ოკუჯავამ. — ეს კონტაქტები ხელს უწყობს უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო პოტენციალის უფრო ეფექტიან გამოყენებას, ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდას.

დ ა ჯ ი ლ დ ო ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით:

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის, სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის და დაბადების სამოცდაათი წლისთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. ი. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის ლიტერატურისა და ფოლკლორის განყოფილების გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ამხ. ხუხუტი სოლომონის ძე **ბღაჟბა** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით;

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის, სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის და დაბადების სამოცდაათი წლის დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. ი. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო მუშაობის დარგში, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ამხ. შალვა დენისის ძე **ინალ-იფა** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ბეგეჭკორის რაიონის სოფელ ონოლის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორები ამთავრებენ სიმინდის აღებას. თითოეულ ჰექტარზე ისინი მიიღებენ 46 ცენტნერ სიმინდს, რაც ხაგეგმოზე ათი ცენტნერით მეტია.

დიდი ოქტომბრის 67-წლისთავისადმი მიძღვნილი შრომითი ვახტის მეწინავეთა შორის არის მექანიზატორი ბორის მიქაია. იგი თავის პროფესიაში საუკეთესოდ ალღარეს და მიენიჭა მედალი „შრომითი წარჩინებისათვის".

სურათებზე: მოწინავე მექანიზატორი ბორის მიქაია; სიმინდის აღება კომბაინებით სოფელ ონოლის საბჭოთა მეურნეობაში.

ი. ჭოხონელიძის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

წესი, რიგი და ჩვენ

შრომის კანონმდებლობას მტკიცედ უნდა ვიცავდეთ

ჩვენში ახლა საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება საწარმო-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შრომის დისციპლინის განმტკიცებას, მაღალორგანიზებულობას, წესრიგსა და წესიერებას ცხოვრების ყველა უბანზე. ამ საქმეში დიდია სასამართლო ორგანოების როლი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო და რესპუბლიკის სასამართლოები თავიანთი პრაქტიკული მუშაობით სასიკეთო ზემოქმედებას ახდენენ საწარმოებსა და დაწესებულებებში შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებაზე. ისინი პროფილაქტიკურ ღონისძიებებს ახორციელებენ კერძო განჩინებების გამოტანით, გასვლით სესიებზე საქმეთა განხილვით, სასამართლო პრაქტიკის განზოგადების შედეგად წარდგინების შეტანით. რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში მოქალაქეთა სამუშაოზე აღდგენის საქმეთა პრაქტიკის სისტემატურმა შესწავლამ, განზოგადებული მასალის დაგზავნამ სახალხო სასამართლოებში, გამოვლენებულ დარღვევათა გამო სათანადო სამინისტროებსა და უწყებებში წარდგინების შეტანამ, ცალკეულ საქმეთა განხილვის დროს გამოვლენილ დარღვევებზე კერძო განჩინებებმა და სხვა ღონისძიებებმა უთუოდ ეფექტიანი შედეგი მოიტანა. ამიტომაც არის, რომ ბოლო 10 წლის მანძილზე რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად შემცირდა იმ პირთა რიცხვი, რომლებიც შრომის კანონმდებლობის დარღვევის გამო თავიანთი უფლების დასაცავად მიმართავენ სასამართლო ორგანოებს. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ასეთ ფაქტებს: 1981 წელს საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოებში (ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ჩათვლით) გადაწყვეტილების გამოტანით განხილული იყო სამუშაოზე აღდგენის 634 საქმე, ხოლო 1982 წელს 430 საქმე. ეს რაოდენობა შენარჩუნებული იყო 1983 წელს, როცა სასამართლოებმა განიხილეს 435 საქმე, ხოლო 1984 წლის პირველ ნახევარში განხილულია 179 საქმე.

ამ კატეგორიების საქმეების განხილვა განსაკუთრებით შემცირდა რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქ თბილისის სახალხო სასამართლოებში (ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის გარდა). ინტერესმოკლებული არ იქნება ვთქვათ ისიც, თუ როგორია სარჩელთა დაკმაყოფილების სურათი. 1981 წელს დაკმაყოფილდა სარჩელთა 61 პროცენტი, 1982 წელს — 59 პროცენტი, 1983 წელს — 54 პროცენტი, ხოლო 1984 წლის პირველ ნახევარში — 53,1 პროცენტი.

ამ ძვრების მიუხედავად, ჯერ კიდევ გვხვდება წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მუშაკთა დათხოვნის დროს მოქმედი შრომის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგ გარემოებებს მივაქციოთ ყურადღება.

ცხადია, შრომის კანონმდებლობის დაცვაში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების პროფკავშირულ კომიტეტებს. მათი მოვალეობაა ხელი შეუწყონ ადმინისტრაციას, რომ არ დაირღვეს შრომის კანონმდებლობა. თავის მხრივ კი ისინი შრომითი კოლექტივის თითოეულ წევრზე ზემოქმედებას უნდა ახდენდნენ იმისათვის, რომ კვლავ განუხრელად შეასრულონ შრომის შინაგანაწესი, დაკისრებული მოვალეობა.

ისიც ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ სასამართლოების მიერ სარჩელთა დიდი რაოდენობის დაკმაყოფილება მოწმობს, რომ მუშაკთა განთავისუფლება ხდება პროფკავშირულ კომიტეტებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე. ეს კი, ცხადია, სარჩელის დაკმაყოფილების უდავო საფუძველია. მაგრამ კვლავ პრობლემად რჩება ცალკეულ საწარმო-ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში პროფკავშირული კომიტეტების უპრინციპობა ადმინისტრაციისათვის მუშაკის განთავისუფლებაზე ნებართვის მიცემის დროს.

უთუოდ ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ხშირად პროფკავშირული ორგანიზაციები ადმინისტრაციის წინადადებით მუშაკის განთავისუფლების საკითხს იხილავენ მოქმედი დებულების დარღვევით, კერძოდ, სათანადო კვორუმის გარეშე და თვით მუშაკის დაუსწრებლად, არ არკვევენ სხდომაზე მუშაკის გამოუცხადებლობის მიზეზს, სწორად არ აფორმებენ განხილვის დოკუმენტაციას, არ შეაქვთ კომიტეტის თითოეული წევრის აზრი განხილული საკითხის გამო და, რაც მთავარია, აკმაყოფილებენ ადმინისტრაციის თხოვნას მუშაკის განთავისუფლებაზე იმ დროს, როცა ამისათვის კანონით გათვალისწინებული საფუძველი არ არსებობს. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

ლეილა გიგის ასული გაბუნია მუშაობდა ქუთაისის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოში მემარკეტ-ალმრიცხველად. სამმართველოს უფროსის ქ. უკლებას 1983 წლის 8 აგვისტოს ბრძანებით იგი განთავისუფლებულ იქნა მემარკეტ-ალმრიცხველის თანამდებობიდან საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 35-ე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე. ბრძანებას საფუძვლად დაედო №33 გაერთიანების პროფკავშირის კომიტეტის დადგენილება, რომელმაც თანხმობა მისცა ადმინისტრაციას.

ქუთაისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ 1984 წლის 8 თებერვალის გადაწყვეტილებით ლ. გაბუნიას სარჩელი დააკმაყოფილა — აღადგინა სამუშაოზე და აუნაზღაურა იძულებით გაცდენილი დრო შრომითი ხელფასით,

ამ შემთხვევაში გაერთიანების პროფკავშირის კომიტეტმა სწორად არ მისცა თანხმობა ადმინისტრაციის მუშაკის განთავისუფლებაზე. ეს მოქალაქე არ ითვლებოდა მატერიალურად პასუხისმგებელ პირად და ამიტომ მისი განთავისუფლება შრომის კანონთა კოდექსის 35-ე მუხლის მეორე პუნქტით დაუშვებელია. ცხადია, პროფკავშირის კომიტეტს ამ შემთხვევაში ადმინისტრაციის თხოვნაზე უარი უნდა ეთქვა.

ადამიანის ბედისადმი უპრინციპო დამოკიდებულებად უნდა ჩაითვალოს რკინიგზის მუშათა მომარაგების ხაშურის განყოფილების პროფკავშირის კომიტეტის 1983 წლის 14 ოქტომბრის დადგენილება, რომლითაც მან თანხმობა მისცა ადმინისტრაციას ფასების დამახინჯებისათვის გაეთავისუფლებინა №14 მაღაზიის გამგე-გამყიდველი ა. ლომიძე. მის მიმართ საქმეს საგამოძიებო ორგანოები იკვლევდნენ. 14 ოქტომბერს მუშათა მომარაგების განყოფილების კოლექტივმა შუამდგომლობა აღძრა საგამოძიებო ორგანოს წინაშე, რათა ა. ლომიძის საქმე განსახილველად კოლექტივს გადასცემოდა. შუამდგომლობას ხელს აწერდა მომარაგების განყოფილების უფროსი და პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე. მიუხედავად ამისა, განყოფილების პროფკავშირის კომიტეტმა იმავე დღეს —14 ოქტომბერს განიხილა ადმინისტრაციის შუამდგომლობა და ნება დართო გაენთავისუფლებინა ა. ლომიძე სამუშაოდან, და, ცხადია, სათანადო ბრძანებაც დაიწერა.

განსახილველი საკითხისადმი პროფკავშირის კომიტეტის ასეთმა უპრინციპო დამოკიდებულებამ განაპირობა ის, რომ სასამართლომ შესაძლებლად ჩათვალა მომჩივნის სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის გლდანის რაიონის საზოგადოებრივი კვების ტრესტის აპარატის პროფკავშირის კომიტეტმა 1984 წლის 22 თებერვალს განიხილა დირექციის შუამდგომლობა შტატის შემცირების საბაბით მდივან-მემანქანის ი. ედიშერაშვილის განთავისუფლების შესახებ. ამაზე პროფკავშირის კომიტეტმა ადმინისტრაციას თანხმობა არ მისცა. ორი დღის შემდეგ იგივე პროფკომიტეტმა განმეორებით განიხილა ეს საკითხი და ადმინისტრაციის თხოვნა დააკმაყოფილა. აქ ნათლად ჩანს კომიტეტის უპრინციპო დამოკიდებულება განსახილველი საკითხისადმი. ბოლოს, მოპასუხემ შეიცნო რა თავისი უკანონობა, სასამართლოში საქმის არსებითად განხილვამდე აღადგინა მოსარჩელე სამუშაოზე და, ცხადია, სასამართლოშიც საქმე წარმოებით შეწყდა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გააუქმა ცხაკაიას რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება ნ. მანტულის სამუშაოზე აღდგენის საქმეზე, და განჩინებაში მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილი პროფკავშირის კომიტეტის ოქმიდან არ ჩანს, რამდენი წევრისაგან შედგებოდა კომიტეტი, ან რამდენი ესწრებოდა სხდომას, საკმარისი იყო თუ არა კვორუმი, ესწრებოდა თუ არა მას მომჩივანი.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ხშირად ადმინისტრაციისათვის სამუშაოდან დათხოვნის ნებართვის მიცემასა თუ მიუცემლობაში არსებითი დარღვევები კანონმდებლობის უგულებელყოფით არის გამოწვეული. ამიტომ საჭიროა მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელება, რათა ავამაღლოთ მუშაკთა იურიდიული ცოდნა, რაშიც ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ლექცია-მოხსენებები, პრესა, რადიო და ტელეგადაცემები. ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზოგჯერ პროფკომიტეტები ექცევიან ადმინისტრაციის გავლენის ქვეშ და მათი ნებასურვილს გამოხატავენ. არის ფაქტები, როცა პროფკავშირის კომიტეტის სხდომებს ესწრებიან საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, პარტიული ბიუროს წარმომადგენლები, სხვა თანამდებობის პირები, რაც გარკვეულად ზღუდავს პროფკომიტეტს მიიღოს ობიექტური გადაწყვეტილება. მაგალითად, საქართველოს სახელმწიფო საგამომცემლო-სარეკლამო განყოფილების პროფკავშირის კომიტეტი იხილავდა მ. ბაგრატიონ-გრუზინსკის სამუშაოდან შტატის შემცირების გამო განთავისუფლების თანხმობის საკითხს. კომიტეტის სხდომას ესწრებოდა თითქმის ყველა ხელმძღვანელი მუშაკი და პარტორგანიზაციის მდივანი, რამაც გარკვეულწილად გავლენა მოახდინა განსახილველი საკითხის გამო გადაწყვეტილების მიღებაზე.

როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, შრომის კანონმდებლობის დარღვევის შემცირებას მნიშვნელოვანწილად ხელი შეუწყო სასამართლოების მიერ ზემოქმედების ისეთი ღონისძიებების განხორციელებამ, როგორიც არის მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრება თანამდებობის პირებისათვის, რომლებსაც ბრალი მიუძღვით უკანონო დათხოვნასა თუ გადაყვანაში ან სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებაში.

ერთი სიტყვით, შრომის კანონმდებლობის დაცვის საქმეში ერთგვარი წინსვლა გვაქვს, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია დარღვევები, რომლებიც, გულახდილად რომ ვთქვათ, უცოდინარობით თუ კანონისადმი უპატივცემულობით ხდება ზოგიერთ საწარმოსა და დაწესებულებაში. არის ფაქტები, როცა არაფრად აგდებენ იმას, რომ ხელმძღვანელის უკანონო მოქმედება ზარალს აყენებს სახელმწიფოს, მნიშვნელოვანი თანხა აუნაზღაურებელი რჩება. ამიტომ სასამართლოების მოვალეობაა გააძლიერონ მუშაობა ამ მხრივ, რაც ხელს შეუწყობს შრომის კანონმდებლობის დარღვევების აცილებას, უზრუნველყოფს წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას.

ბოლოს გვინდა ვურჩიოთ წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, ყველას, ვისაც აქვს მუშა-მოსამსახურეთა მიღება-დათხოვნის უფლება, რომ შრომის კანონმდებლობის დარღვევას თავიდან ავიცილებთ, თუ ასეთ დავათა გადაწყვეტისას მივმართავთ სათანადო იურიდიულ სამსახურს და გავითვალისწინებთ მის დასკვნას.

ა. ღუღუნიშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.

დაისაჯნენ წამატებებისათვის

საქართველოს სსრ პროკურატურამ საერთო ზედამხედველობის წესით შემოწმების დროს დაადგინა, რომ რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს „საქსოფლმშენინდუსტრიის" ტრესტის ქუთაისის რკინაბეტონის ნაკეთობათა №4 პოლიგონის ყოფილი დირექტორები ვ. ვ. გაბუნია და ვ. ა. ხმელიძე, მთავარი ბუღალტერი გ. ა. ჩოგოვაძე დანაშაულებათა და დარღვევათა მიჩქმალვის მიზნით, მზა პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულების მოჩვენებით სტაბილურობისათვის სისტემატურად უგზავნიდნენ ზემდგომ ორგანოებს განზრახ, ხელოვნურად გადიდებულ და დამახინჯებულ საანგარიშგებო მონაცემებს, ცხადია, ამით ატყუებდნენ სახელმწიფოს, ზიანს აყენებდნენ სახალხო მეურნეობას. 1982-1983 წლების განმავლობაში დამნაშავეებმა მზა პროდუქციის რეალიზაციის შესახებ მაჩვენებლები ფაქტობრივთან შედარებით განზრახ შეამცირეს 338 ათასზე მეტი მანეთით, ხოლო როცა მოისურვეს, გაზარდეს კიდეც 323 ათასი მანეთით.

წამატებების და თვალის ახვევისათვის დამნაშავეები ქუთაისის პროკურატურამ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 1631 მუხლით მისცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში. მათი ბრალდების საქმე ადგილზე განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ საჯარო სხდომაზე და დამნაშავეები დაისაჯნენ.

ტ. კავშალი,
საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი პროკურორი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი.

კერძომესაკუთრული მისწრაფება—დანაშაულის წყარო

გამდიდრების მანია განსაკუთრებით საშიში სენი რომ არის, ეს ანბანური ჭეშმარიტებაა, კრიმინალისტიკის ისტორიას არ ახსოვს შემთხვევა, რომ ბოროტების გამომწვევი ამ სენით დაავადებულიყოს ადამიანი, რომელიც ალალ ოფლსა ღვრის, ცხოვრების მუდმივში ტრიალებს და კეთილსინდისიერი შრომით საზოგადოებისთვის სარგებლობა მოაქვს.

შრომისმოყვარე ადამიანის ოჯახი ჭეშმარიტად მდიდარია და არც არავის აქვს უფლება ენა მოუბრუნდეს და ამისთანაზე თქვას: საიდან ამდენი შესაძლებლობაო.

დოვლათს გონიერი, ხელგამრჯე, პატიოსანი ადამიანები ჰქმნიან, რომლებმაც კარგად იციან, რომ თითოეული წამიც კი, როცა მას შეგნებულად გამოიყენებ, ოქროდ ფასობს, რომლის გარკვეული ნაწილი, ქვეყნის ძლიერებასთან ერთად, ოჯახის ბედნიერებასაც ხმარდება.

ასეთები სუფთა სინდისით ცხოვრობენ.

მაგრამ, სამწუხაროდ, სოფლად თუ ქალაქად არცთუ იშვიათად ვხვდებით ისეთებს, რომლებიც გამდიდრების მანიით შეპყრობილნი, ხელის ერთი მოსმით ცდილობენ ამქვეყნიური სამოთხის მოპოვებას. გადაგვარებულებს, საზოგადოებისათვის, ოჯახისათვის გაწყვეტილი შრომის სიყვარული რომ არ მოუტანიათ, პირადი ეგოისტური „მეს" სიამოვნებისთვის არაფერი უთაკილდებით: ქურდობა, ძარცვა, ბანდიტობა, მკვლელობა.. და ყველაფერ ამ სისაძაგლეს სხვისი ნაოფლარის ხელში ჩასაგდებად.

ჯერ ოცდაათიც წლისაც არ შესრულებია ტარიელ ივანეს ძე მანაგაძეს, ოჯახმოკიდებულ კაცს მართებდა ცხოვრებისათვის სალი თვალით შეეხედა, სარგებლობა მოეტანა საზოგადოებისათვის, ახალგაზრდობის საუკეთესო წლები, ძალა და ენერგია ოჯახის წელში გასამართავად გამოეყენებინა, მაგრამ შრომას უქნარობა, კაცობას — არაკაცობა არჩია და უკეთუხორამ სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა.

წარსულის მწარე გაკვეთილიდან არაფერი უსწავლია მას. მხართეძოზე წამოწოლილი ფლანგავდა დღეებს, შურით ივსებოდა, როცა ხედავდა, რომ ახლობელი ადამიანები შეძლებულად ცხოვრობდნენ, ჰქონდნენ სადირალი. ყოველ საღამოს ქუჩაში უსაქმოდ არხეინად დასეირნობდა. სწორედ ქუჩაში მოკრა მან ყური, რომ მარნეულში ცხოვრობდა არცთუ ისე ურიგო თანამდებობის პირი ო. ჩ-ნი, რომელსაც უცხოური ტელევიზორი და მაგნიტოფონი ჰქონდა. მოსვენება დაკარგა არაკაცმა. გადაწყვიტა, რადაც უნდა დაჯდომოდა, ხელში ჩაეგდო უცხოური ნივთები, მაგრამ მარტო ხომ ვერ ზიდავდა ტელევიზორს და მაგნიტოფონს? საჭირო იყო სანდო პირის მოძებნა და გაახსენდა ბოლნისის კულტურისა და დასვენების პარკის საბილიარდოს გამგე, ციხემოვლილი ტარიელ შოთას ძე ჩიკვილაძე.

შეთავაზებული წინადადება ძალიან მოეწონა სეხნიას და დასტურის ნიშნად ხელი გაუწოდა.

ღამის სამ საათზე მიადგნენ ბინას, ძალაყინით შეამტვრიეს კარი, სწრაფად დაავლეს ხელი ტელევიზორს, მაგნიტოფონს, მოხვეტეს ყველაფერი, რაც მოეწონათ, რაც შრომისმოყვარე ადამიანებს წლების მანძილზე ოფლის ფასად შეუძენიათ, და სიბნელეს მისცეს თავი.

საკმაოდ დაძაბული მუშაობა მოუწიათ მარნეულის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების უფროსს, მილიციის მაიორს ბ. სალუქვაძეს, მის მოადგილეს ვ. პეტროსიანს, სისხლის სამართლის სამძებროს უფროსს ი. ველიევს და გამომძიებელ ე. სააკიანს, სანამ ბოროტმოქმედების კვალს დაადგებოდნენ.

იგრძნეს მოახლოებული საფრთხე თუ არა, ხორცმეტებმა ნაქურდალი ნივთები მანქანაში ჩაალაგეს და ღამის ორ საათზე თბილისისკენ მიმავალ გზას დაადგნენ, და სწორედ მაშინ, როცა თავი სამშვიდობოს ეგონათ, მოულოდნელად თავს წამოადგნენ თბილისის ორჯონიკიძის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორები მ. კაციაშვილი, გ. სალუქვაძე და საპატრულო-საგუშაგო სამსახურის სერჟანტი გ. დადიანი.

იფიცებოდნენ ქურდები, ტელევიზორი და მაგნიტოფონი მოსკოვში ნათესავის დავალებით შევიძინეთო, მაგრამ სახელდობრ ვისი დავალებით, ვერაფრით გაიხსენეს, და გატყდა კოკა წყალზე... ნაქურდალი ნივთები პატრონს დაუბრუნდა, ქურდები კი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

ზ. გვაძაბია,
შინაგან საქმეთა სამსახურის მაიორი.

დღისით-მზისით

დარღვევასა და დანაშაულზე კომისიამ იმსჯელა

როცა აუისმქნელებს სოფელ წითელწყაროს (წითელწყაროს რაიონი) სასურსათო მაღაზიის გამგე-გამყიდველ ა. გავაშელიშვილს და გამყიდველ ა. ონიაშვილს დანაშაულზე წაასწრეს — 3.100 ცალი ორლიტრიანი მინის ქილა, თითოეული 30 კაპიკად ღირებული, 40 კაპიკად გაყიდეს, —მათ განაცხადეს: საქონელს ანგარიშფაქტურა არ მოჰყვა და რა გვექნა, ფასი ვარაუდით განვსაზღვრეთო. რა თქმა უნდა, ეს დამრღვევთა ცნობილი ხერხია და მათ არ დაუჯერეს. საკითხი განსახილველად საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომთან არსებულ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კომისიაზე გასახილველად გაიტანეს.

თუ რატომ მოხდა დანაშაული, კომისიის სხდომამ სწორი შეფასება მისცა. აღინიშნა, რომ ფაქტი განპირობებულია რაიკოოპერატივის გამგეობისა და მისი აპარატის პასუხისმგებელი მუშაკების საქმისადმი გულგრილი, უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით.

რაიკოოპერატივის გამგეობას (თავმჯდომარე გ. დავითაშვილი) დაევალა მკაცრი მსჯელობის საგნად გახადოს სოფელ წითელწყაროს №2 სასურსათო მაღაზიაში მომხდარი დანაშაულის ფაქტი, მკაცრად განიხილოს იმ მუშაკთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთა უკონტროლობამაც ხელი შეუწყო გამოვლენილ დანაშაულს.

კომისიამ სწორად აღნიშნა ისიც, რომ დანაშაულს, რომელიც ხდებოდა დღისით-მზისით, ყველას თვალწინ, ხელი შეუწყო წითელწყაროს სასოფლო საბჭოს და კოლმეურნეობის აქტივის უყურადღებობამ, ფაქტისადმი შემრიგებლურმა დამოკიდებულებამ.

შემოწმების მასალები საგამოძიებო ორგანოებს გადაეცა და დამნაშავეები პასუხსაც აგებენ, მაგრამ ისმება კითხვა, ხომ შეიძლებოდა დანაშაულის გზა საათვეშივე გადაგვეჭრა?

ვლ. მეღვინიშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო მეატყობინებს

[illegible] მართლევი მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობისათვის, ხულიგნობისათვის. სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლდა 1984 წლის 11 ივნისს, მაგრამ იგი მაინც არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინა დანაშაული. ამ რამდენიმე ხნის წინათ მან თბილისში პლეხანოვის პროსპექტზე მოქალაქე გ-ს ხელჩანთიდან ამოაცალა საფულე, რისთვისაც დაკავებულ იქნა.

თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით კ. იუზბაშევს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლის ვადით და სასჯელის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდა.

მურმან კობახიძე 1978 წელს გაასამართლეს ხულიგნობისათვის, ხოლო 1982 წელს მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობისათვის. სასჯელის მოხდის შემდეგ მუშაობა დაიწყო ამიერკავკასიის რკინიგზის სამოქალაქო დისტანციის მუშად. იმედი იყო, რომ იგი გამოსწორების გზას დაადგებოდა. მაგრამ მან ისევ ავკაცობა არჩია.

1984 წლის 20 თებერვალს დღის 3 საათზე იგი 53-ე მარშრუტის ავტობუსში ავიდა, მგზავრ ჩ-ს გაუხსნა ხელჩანთა და შეეცადა ფულის მოპარვას, მაგრამ მისი მოქმედება შეუმჩნეველი არ დარჩენილა. განაწყენებულმა მოქალაქე ჩ-სა და მგზავრებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

თბილისის საბურთალოს რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით გამოუსწორებელ ქურდსა და ხულიგანს შეეფარდა 4 წლისა და 6 თვის თავისუფლების აღკვეთა და სასჯელის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდა.

ოჯახის პატრონმა არტურ ოსიპიანმა ნაცვლად იმისა, რომ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმეში ჩაბმულიყო და შვილების აღზრდაზე ეზრუნა, მუშაობაზე გული აიცრუა, დროს უსაქმურობაში ატარებდა და იოლი გზით გამდიდრების სურვილით შეპყრობილმა ქურდობას მიჰყო ხელი. ამ მიზნით იგი თბილისში მოქალაქე ბ-ს ბინის გაქურდვას შეეცადა, მაგრამ შემთხვევის ადგილზე დააკავეს. საგამოძიებო ორგანოებმა მის მიერ წარსულში მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობის სხვა ფაქტებიც გამოააშკარავეს.

ა. ოსიპიანმა წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ ცნო. თბილისის საბურთალოს რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით ა. ოსიპიანს შეეფარდა ხუთი წლის თავისუფლების აღკვეთა და სასჯელის საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდა.

ხელცივი მაყარი

ონი. (საკ. კორ.). ამას წინათ მაღალმთიან სოფელ ხიდეშლებში ქორწილი იყო. ახალი ოჯახის შექმნა ტრადიციისამებრ ზეიმით აღნიშნა სოფლის მკვიდრმა, „საქმიდრომშენის" №8 უბნის მოწინავე მუშამ ავთანდილ ხიდაშელმა. მაყრებმა საქორწინო მრავალჟამიერი დაამღერეს, მოილხინეს მასპინძლებმა და სტუმრებმა. ქორწილის მონაწილეებმა ახალდაქორწინებულებს ბედნიერების დღე მიულოცეს, საჩუქრად ოქროს ბეჭდები და სხვა ძვირფასი სამკაულები მიართვეს.

ნაჩუქარი ნივთების ბრწყინვალებამ მოსვენება დაუკარგა ერთერთ მაყარს, ოჯახის ნათესავს, თბილისელ მოქალაქეს ელბერდ გიორგის ძე ტყემელაშვილს. ავისმსურველი თვალს არ აშორებდა ნეფე-დედოფალს, შებინდებას გულისფანცქალით ელოდა.

აი, დაღამდა კიდეც. მექორწინეები იშმალნენ, ავტომანქანებში ჩასხდნენ და წავიდნენ. დედოფალმა ოთხი ოქროს ბეჭედი თითებიდან წაიძრო და საიმედო ადგილას შეინახა, მაგრამ მეორე დღეს იქ აღარ დახვდა. უსიამოვნებამ დაისადგურა ოჯახში, ატყდა მითქმა-მოთქმა.

ეჭვი ე. ტყემელაშვილზე მიიტანეს. იგი უსაფუძვლო არ გამოდგა. ოპერატიული ღონისძიებების შედეგად ქურდი ცხელ კვალზე შეიპყრეს. მას ნივთმტკიცება თან აღმოაჩნდა. ოქროს ნივთები მალე პატრონს დაუბრუნდა, ქურდ მაყარს კი მართლმსაჯულება მოეკითხება.

უჩინ-მაჩინი გამომძალველი

ეს მოხდა თებერვლის დასაწყისში. ტყიბულის ზონის სოფელ ახალსოფლის მცხოვრებმა ელენე ქათამაძემ მუქარით სავსე წერილი მიიღო. მისი ავტორი 4 ათასი მანეთის მიტანას ითხოვდა ქალაქის კავშირგაბმულობის კვანძის საზოგადოებრივ ტუალეტში, ამასთან ერთად გარეუცხადებლობის გარანტიას ითხოვდა, იმუქრებოდა, მთელ ოჯახს დედამიწის პირიდან ამოგიწყვეტავო.

შეშინდა ქალი, მაგრამ მალე ძალ-ღონე მოიკრიბა და ეს წერილი შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებაში მიიტანა. შედგა ოპერატიული ჯგუფი. შეიმუშავეს მოქმედების გეგმა. ზუსტად მითითებულ დღეს ე. ქათამაძემ ფული დათქმულ ადგილას მიიტანა. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ოპერატიული გეგმის მიხედვით წარიმართა, ამჯერად ფინალი არ შედგა. გამომძალველ შიშის ინსტინქტმა აალებინა ხელი ბოროტი განზრახვის შესრულებაზე.

მორიგი მუქარის წერილი ელენემ ორი კვირის შემდეგ მიიღო. მისი ავტორი ამჯერად „დიდ სულგრძელობას" იჩენდა, იგი თავის მსხვერპლს მოსატანი თანხის ოდენობას უნახევრებდა. დამნაშავის დაკავების ოპერატიული ჯგუფი კვლავ ამოქმედდა. მილიციის მუშაკებმა ბოროტმოქმედი სწორედ მაშინ დააკავეს, როცა ქალაქში გაჩვეული ფულის კონვა ჩაიგდო. ფულის მეპატრონე მოენის მოტრფიალე აღმოჩნდა ქალაქის მკვიდრი, 32 წლის ჯანღონით სავსე ახალგაზრდა, დასავლეთის შახტის სამთო მუშა ამირან ნიკოლოზის ძე ბერიძე.

ბოროტმოქმედმა გამოძიებას ყველა ჩადენილი ცოდვა ჩამოუკაკლა. გაიხსენა, თუ რა შინაარსის წერილები მისწერა ტყიბულელ მოქალაქეებს ნ. ცხაკაიას და ლ. გაბრიაძეს. თითოეულისაგან იგი 3000-3000 მანეთს ითხოვდა.

მართლმსაჯულებამ დამნაშავეს სათანადოდ მიუზღო. ა. ბერიძე უკვე გასამართლებულია და სასჯელს იხდის. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია ვკითხოთ, რატომ დარჩა შეუმჩნეველი შრომითი კოლექტივს მისი წევრის ასეთი გადაგვარება? საკითხავია ისიც, სად იყვნენ მშობლები, ახლობლები, ნათესავები, რომელთა თვალწინ ტრიალებდა ეს ახალგაზრდა, წერდა და აგზავნიდა მუქარის წერილებს. განა ისიც საკითხავი არ არის, როგორ ოჯახურ გარემოში, რა ნიადაგზე აღმოცენდა საზოგადოების ეს ხორცმეტი?

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

გმადლობთ, დახმარებისათვის

სარედაქციო წერილების მიმოხილვა

„წოხატაურის რაიონი, სოფელი ხევი, ხუოლიეთი, 1944 წ. 18 სექტემბერი. სალამი ძვირფასო მშობლებო და ძმაო ივანე! გისურვებთ ყოველივე სიკეთესა და ბედნიერებას. ახლა იმედია ჩემს ამბავს იკითხავთ, ვარ კარგად, მივერეკებით გერმანელ ფაშისტებს. 20 სექტემბერს მივდივარ ლატვიაში. ომი დასასრულს უახლოვდება, ალბათ, მალე მელირსება თქვენი ნახვა.

დედი, როგორ მომენატრა ჩვენებური ხილი. ყურძენი უკვე დამწიფდებოდა, ფელამუშის დროც დადგება. რომ ჩამოვალ ერთი კარგი ღხინი უნდა გადავიხადოთ და ქართული სიმღერები დავაგუგუნოთ. რამდენი ხანია აღარ მიმღერია. მეტი რა მოგწეროთ, გწერთ თქვენი ლეიტენანტი შვილი ალეკო კაკალიძე".

თავისი შინმოუსვლელი მაზლის ეს უკანასკნელი სამკუთხა ბარათი მახარაძის რაიონის სოფელ ლაითურიდან გამოგვიგზავნა ლეილა კაკალიძემ.

— ძვირფასო რედაქცია, — გვწერს იგი, — უდიდეს მადლობას...

იაუნაძეცს ძმათა სასაფლაოზე დაკრძალულ ქართველ მებრძოლთა სიაში მოხსენიებულია უფროსი ლეიტენანტი გ. ი. სესიაშვილი. ამ ცნობას გამოეხმაურა შინმოუსვლელის და ქეთევან სესიაშვილი გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხიდან. იგი გვიგზავნის თავისი ძმის ფოტოსურათსა და მის სამკუთხა ბარათებს.

ვკითხულობთ დრო-ჟამით გაყვითლებულ ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერილ ამ წერილებს და თვალწინ წარმოგვიდგება მშობლების, ოჯახის, თავისი ქვეყნის მოსიყვარულე ახალგაზრდა, რომელმაც სიცოცხლე სამშობლოს განთავისუფლებას შესწირა: „დედი, როგორ მენატრებით, სიზმარშიაც თქვენთანა ვარ. ნეტავ, როდის ჩავაძაღლებთ ამ ოხერ ფაშისტებს და მელირსება თქვენი ნახვაო" — წერს იგი ერთგან.

— გიორგის უკანასკნელი წერილით, რომელიც 1945 წლის 25 იანვარს იყო გამოგზავნილი, ვიცოდით, რომ იგი ლატვიაში იბრძოდა, — ვკითხულობთ ქალბატონ ქეთევანის ბარათში, — მა-...

...ცია, დაგვეხმარეთ, როგორ დავაზუსტოთ, ბიძაჩემია თუ არა?".

ასეთ შემთხვევაში, ვთხოვთ სამამულო ომის ვეტერანებს, გაიხსენეთ, იქნებ მართლაც, თქვენ გვერდით იბრძოდა მაქრო მიხეილის ძე პაპაშვილი? მოგვწერეთ ამის თაობაზე.

წერილში „სად წაიყვან სადაურისა". მითითებულია დნეპროპეტროვსკის ოლქის ნიკოპოლის რაიონის სოფელ მიროპოლში დაკრძალული ქართველი მეომრების გვარები. მათ შორის დასახელებულია შ. ს. შარიქაძე.

და აი, მივიღეთ გადამდგარი პოდპოლკოვნიკის, პირველი ჯგუფის ინვალიდის სერგო სილიბისტროს ძე შარიქაძის მადლიანი წერილი. იგი გვატყობინებს: „დიდ სამამულო ომში ჩვენი ოჯახიდან სამი ძმა ვიბრძოდით. მე ათასეულის მეთაური ვიყავი. უფროსი ძმა შალვა სილიბისტროს ძე და უმცროსი — გრიგოლ სილიბისტროს ძე შარიქაძეები რიგითები იყვნენ.

ქ. როსტოვის მიმართულებით ბრძოლებისას გრიგოლი მძიმედ დაიჭრა და ბაქოში ჰოსპიტალში...

[...]

გეატიჟებათ განახლებული „ოდიში"

[...]

კონცერტები ღია ცისქვეშ

[...]

ნორჩმა სელექციონერმა

[...]

ჭადრაკი

მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში

მოსკოვი

შეხვედრის ფსიქოლოგიური ქვეტექსტი

მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე პარტიები ფრიად დრამატულად განვითარდა და მომქანცველი გამოდგა. ამ ფონზე შეიძლება მოგვეჩვენოს რომ მეჩვიდმეტე შეხვედრა, რომელიც სულ 22 სვლა გრძელდებოდა, ერთგვარი „სულის მოთქმა" იყო მეტოქეებისათვის, მაგრამ საქმე მთლად ასე არა ყოფილა.

საქმე ის არის, რომ მძიმე საჭადრაკო სიტუაციაში კასპაროვი, შეიძლება ითქვას, „ვერაგულ" გზას დაადგა. იგი შავებით ისეთ სადებიუტო სისტემებს ირჩევს, რომელთა თამაში თვით მსოფლიო ჩემპიონს უყვარს. ამით პრეტენდენტი მეტოქეს აიძულებს თვალნათლივ გვიჩვენოს, როგორ უნდა თამაში მისი საყვარელი დებიუტების წინააღმდეგ. ეს, ცხადია, კარპოვს მეტად უჩვეულო მდგომარეობაში აყენებს. ერთ-ერთ პარტიაში მან ასეთი გადაწყვეტილებაც კი მიიღო: ნაკლებ გავრცელებულ სისტემას მიმართა, ნაკლებ გავრცელებულს იმიტომ რომ იგი ბევრს არაფერს არ იძ-...

...ტივა მიელო ლაზიერის ფრთაზე, რაც მან მოახერხა კიდეც. ამგვარად შავების ბანაკში არ შექმნილა ე. წ. „დაკიდებული პაიკების" წყვილი, რომელთა წინააღმდეგ სხვადასხვა პარტიაში ორივე მეტოქე იბრძოდა. რამდენადმე უფრო პოზიციაში პრეტენდენტმა მიაგნო საინტერესო მანევრს, რასაც ფიგურების მრავალრიცხოვანი გაცვლა და საბოლოო ანგარიშით პოზიციის სრულიად გათანაბრება მოჰყვა. ამიტომ 23-ე სვლაზე კიდევ ერთი, ზედიზედ მერვე ყაიმი ალინიშნა.

17 პარტიის შემდეგ ანგარიში 4:0 (13 ყაიმი) მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ ძალაში რჩება. მორიგი მეთვრამეტე პარტია, რომელშიც თეთრებით პრეტენდენტი ითამაშებს, დღეისათვის არის დანიშნული.

მეჩვიდმეტე პარტია

კარპოვი — კასპაროვი

ლაზიერის გამბიტი

1. მf3 d5 2. d4 მf6 3. c4 e6 4. მc3 კe7 5. კg5 h6 6. კh4 0-0 7. e3 b6 8. კe2 კb7 9. 0-0 ...

[...]

სპორტული ორბიტა

[...]

ადამიანის სისხლი იხსნეს

[...]

კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიაზე წარდგენილთათვის

[...]

ახალი სეზონის სიახლენი

სიმფონიური კონცერტების ტრიადა

[...]

კადასაღებ მოედანზე

რომანის ეკრანიზაცია

[...]

მოსკოვი

ჩვენი ტელეეკრანიდან

თბილისი

თეატრი

[...]